საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.01.2014, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.05.001.017312) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 67^1 პუნქტი:

„67^1. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი – გზის სავალი ნაწილის ზოლი, რომელიც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვისაა განკუთვნილი და რომელზედაც სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალება სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის თანმხვედრი ან საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლი დანარჩენი გზის სავალი ნაწილისაგან საგზაო მონიშვნითაა გამოყოფილი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

19 აპრილი 2019 წ.

N4525-IIს